

მთვარიან ღამის ჩრდილში

მთვარიან ღამეში სოფლის ვიწრო, ოღრო-ჩოღრო გზა დიდ მანძილზეა დაკავებული.

ხუთი ცხენოსანი, რამდენიმე ქვეითი და სამი ურემი ბრუნდება დღეობიდან.

მოყვარე კარგად დაჰხვდა სტუმრებს; ყველა ნასიამოვნები მიდის სახლში:

ყმაწვილები შეზარხოშებულნი არიან, მოხუცები --- მთვრალნი; დედაბრებმა მოიგონეს თავიანთი წარსული, იმასლაათეს, მკვდარი აქეს და ცოცხალი გაქექეს: ქალიშვილებმა ცეკვით იჯერეს გული: ჭრელი თავსაფარი, წითელი ქოლგა ხალხს აჩვენეს, იკასკასეს, იცინეს; ბავშვებმა ირბინეს, ბურთი ითამაშეს.

შვილებმა იქეიფეს; დედ-მამამ მტერს თვალი დაუყენა და მოყვარეს გული გაუბარა ოჯახის ბედნიერებით.

როცა უკან ჩამორჩენილი ურემი ჩრდილით მიძინებულ ადგილს მოჰხვდება, ახალგაზრდა, ჩაბალახჩამოფარებული ბიჭი მივარდება ურემთან, ვიდასაც მუჯღუგუნს წაჰკრავს და ჩაუჩურჩულებს:

-- მეიწიე აქეთ, ძღაბო!

-- გაჩუმდი, დეიდა გეიგონებს...

-- ნუ გეშინია, სძინავს. თუ გინდა, გეიგონოს, მაგი ჩემკენაა. საფერისცვალებით ისეთი ბაღდათი მოუტანე, სულ იკვილა სიხარულით. მითხრა, მე ვიცო...

-- წადი, შე გასაწყვეტო, მომშორდი; აქ სინათლეა.

ბიჭი შორდება რამდენიმე ხნით. ჩრდილთან ერთად ისიც აჩრდილსავით მიეპარება ურემს. გოგოს, სანამ მოვიდოდეს, გული მოსდის, სად არის ამდენ ხანსაო.

-- ოლიკო...

-- ჰო, რა გინდა, რა შემიწვრილე გული?!

-- ი ბიჭი ვინ იყო, შენთან რომ ცეკვავდა?

-- ვინ იყო?! რა შენი საქმეა, ვინ იყო...

-- თავს ნუ იგდებ! ვინ იყო-მეთქი? -- ბიჭმა გოგოს ხელი წაატანა ხელში და მოუჭირა.

-- ვინ იყო და ძან კაი ბიჭი! ოქრომჭედელია... ბაბაიმ მითხრა იმას მიგცემო... იი! გასკდი გულზე!

- ძაღლმა შემჭამოს, თუ შენც და ისიც საშობაო გოჭსავით არ გამოგფატროთ!.. -- და ბიჭმა ძაღზე მიიზიდა გოგო თავისკენ, ხელი კიდევ უფრო მოუჭირა და ჩაეკითხა:

-- მართალს ამბობ, თუ ხუმრობ?..

მთვარის სინათლემ ისევ გადაკრა მათ.

-- ვხუმრობ, ვხუმრობ! ნუ გადირიე, შეგვხედავენ! მგზავრების წინ, სულ თავში, გოგოს მთვრალი მამა მიდის; ცხენზე აქეთ-იქით ეკეცება და ბუზღუნობს: "ძან კაი, შენ ნუ მომიკვდე! გვარიანათ ვიქეიფეთ, დავთვრით... ჩემი გოგო იმ ბიჭს მეეწონა... შეძლებული და კაი ხელობის კაცია. ერთი ორი კვირე კიდე და უფსკვნი ჯვარს... და.. მოვრჩები ერთ საქმეს"...

-- აბა, სიტყვა მომეცი! -- მიუახლოვდა ისევ ბიჭი.

-- რისი? --- თითქოს არ იცისო იცუღლუტა გოგომ.

-- რომ არ მიმტყუნებ, ჩემს მეტს არ ინდომებ.

-- ჯერ შენ მომეცი. არა, შემომფიცე!

-- შენ თუ გიმტყუნო, დამექცეს ოჯახი, წმიდა გიორგის ლახვა- რი მომხვდეს!

-- შენ მეტს თუ გავყვე, ღმერთი გამიწყურეს, დედა წამიწყ- დეს...

-- აბა, ნახვამდის, არ დაგავიწყდეს! --- და ბიჭი გადუხვევს გზაბოძალში.

მთვარიან ღამის ჩრდილში მზადდება დრამა. ქაღალდზე კი არ დაიბეჭდება, მსახიობები კი არ წარმოადგენენ, ცხოვრების ჭრელ დაფაზე შეეტაკებიან ხასიათები: იქნება ბრძოლა ნებათა, სურვილთა, ძალთა და უფლებათა. დამარცხებული ვეღარ იხარებს მთვარიან ღამის ჩრდილში.

1909 წ.